ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებლის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 37 935

11/08/2016

სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერში, სსიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლის სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე ორი ავარიული შენობის დემონტაჟის არქიტექტურულ–კონსტრუქციული პროექტის შეთანხმებისა და სანებართვო მოწმობის გაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის'' 48–ე მუხლისა და ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 30–ე მუხლის და მე–11 თავის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეთანხმდეს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერში, სსიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლის (საიდენტიფიკაციო კოდი-238762941) სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.06.43.227) მდებარე ორი ავარიული შენობის (სკოლის სახელოსნო და საქვაბე) დემონტაჟის წარმოდგენილი არქიტექტურულ–კონსტრუქციული პროექტი და გაიცეს მშენებლობის (დემონტაჟის) სანებართვო მოწმობა.
2. მითითებული ბრძანებით გათვალისწინებულ დემონტაჟზე ზედამხედველობა განახორციელოს სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, ატქიტექტურის მშენებლობის ტრანსპორტისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახურმა.
3. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

ვალერიანე ფოცხვერია

სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებელი